ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 4 მაისი, 2022 | №86 (8864) | ფასი: 80 თეთრი


გვ.6

**ბორჯომში კაცმა ცოლს 16 ჭრილობა მიაყენა**

**გუდაურის სასტუმროში რუსეთის მოქალაქის ცხედარი იპოვეს**

მას ვენები ჰქონდა გადაჭრილი


გვ.5

# „დღეს რუსეთს სჭირდება, საქართველო დადუმდეს, იყოს მკვდარივით და ჩვენც ასე ვიქცევით!“


გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ მზადაა, რუსეთს ყველაფერში გაჰყვეს“




გვ.3

## „კობახიძემ სააკაშვილს კი არა, ნახევარ მილიონ ადამიანს დასცინა“

სოსო ცინცაძე: „შუა საუკუნეებში ევროპის მონარქები სასიკვდილოდ განწირულებს ეუბნებოდნენ, თავზე ხელს დაგადებთ და მორჩებითო – ასეთ განცხადებებს აკეთებენ“



## შალვა პაპუაშვილი: „უკრაინული ინსტიტუციების განცხადებებს ფასი ეკარგება“

საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსით 89-ე ადგილზეა


გვ.4


გვ.3

## კარლ ჰარცელი: „ბატონი სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება“

## რუსი ოპოზიციონერები პუტინის მოშორებას ელიტებს შორის კონფლიქტის გზით ელიან


გვ.4

სანქციებისთვის გვერდის ავლისას რუსეთი ირანის გამოცდილებას იყენებს

## აპრილში წლიურმა ინფლაციამ 12,8% შეადგინა


გვ.3

## 10 პროდუქტი, რომლებიც წინა თვეში ყველაზე მეტად გაძვირდა


გვ.2

4 „არ ვაპირებთ, შევწყვიტოთ კორუმპირებულების მხილება“

5 2 წლის წინ გაუჩინარებული ქალის მეუღლე მეზობელ ქალს ადანაშაულებს

5 პროკურატურამ ქოლ-ცენტრების მეშვეობით თაღლითობაში ჩართული 9 პირი გამოავლინა

6 ბორის ჯონსონი: „უკრაინელებზე 86.000 ვიზა გავეცით“

1993230720223

# „დღეს რუსეთს სჭირდება, საქართველო დადუმდეს, იყოს მკვდარივით და ჩვენც ასე ვიქცევით!“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ მზადაა, რუსეთს ყველაფერში გაჰყვეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, 9 მაისის მოახლოებასთან ერთად, მძაფრდება იმის შიში, თუ რას მოიმოქმედებს პუტინი. ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება მოიფიქროს პუტინმა, მაგრამ მაინც რა მოლოდინი გაქვთ?***

– 9 მაისს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. არა მგონია, 9 მაისს პუტინმა რამე საშინელება გააკეთოს. უბრალოდ, 9 მაისისთვის რაღაცის მიღწევა უნდოდა. რადგან ვერ მიაღწევს 9 მაისისთვის რაღაცას, განცხადებებით შემოიფარგლება და იტყვის, მერე რა მოხდა, ყველაფერი წინ გვაქვსო. პუტინი გამოვიდა მითიური აზროვნებიდან. მას ეგონა, რომ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ, ისე არ აღმოჩნდა, როგორც მას ეგონა. უკრაინაც არსებობს და უკრაინელი ხალხიც! ღირსეულ წინააღმდეგობასაც უწევენ. პუტინი გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ ატყუებდნენ და დაიჯერა, რომ რეალობა სხვაა. ახლა ის ახალი რეალობით უტევს. პუტინს ძალიან უნდოდა, 9 მაისს რაღაც გამარჯვება დაედო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დადო.

***– ამერიკული მხარე ავრცელებს ინფორმაციას, რომ პუტინი 9 მაისს ოფიციალურად გამოუცხადებს ომს უკრაინას.***

– კი ბატონო, არ არის გამორიცხული. მას მოუწევს გამოსვლა 9 მაისის აღლუმზე და რაღაცა ხომ უნდა თქვას?! ალბათ ახალ საომარ მოქმედებებს დააანონსებს. მე არ ველოდები რაღაც არსებითს მოქმედებებს.

***– რას ელოდებით მოლდოვასთან დაკავშირებით? მოლდოვა ძალიან ფრთხილობდა ამ პერიოდში, ნეიტრალიტეტსაც ინარჩუნებდა, მაგრამ აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პუტინი გეგმავს, მოლდოვას დაარტყას. ამაზე რას იტყვით?***

– ხომ ვხედავთ, რაც ხდება. ეს გაკვეთილი უნდა იყოს. ვინც ფიქრობს, რომ ჩუმად იქნებიან და ამით რუსულ აგრესიას აიცილებენ თავიდან, ეს ზღაპარია. რუსეთს თავისი ზრახვები აქვს. მას შენი სიჩუმე სჭირდება მანამ, სანამ მისი პოლიტიკის დრო დადგება. შესაბამისად, მოლდოვა მშვენიერი მაგალითია, რომ ის რაც არ უნდა ჩუმად ყოფილიყო, რუსეთს დღეს სჭირდება მოლდოვაზე კონტროლის დამყარება, ოღონდ, თუ გამოუვა.

***– შესაძლოა, ვერ განახორციელოს საკუთარი ზრახვები რუსეთმა მოლდოვასთან დაკავშირებით?***

– რუსეთს დღეს აქვს პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. თავის დროზე პროგრამა მაქსიმუმი იყო მთელი უკრაინის დაპყრობა, კიევის აღება, ხელისუფლების შეცვლა. ეს პროგრამა მაქსიმუმი მოიშალა. მისი პროგრამა მინიმუმია, აიღოს მარიუპოლი და მთლიანად გააკონტროლოს აზოვის სანაპირო. დღეს მისი ჯარები სულს ღაფავენ და ისიც საკითხავია, აიღებს თუ არა. თუ პუტინმა ჩათვალა, რომ ჯარები საკმარისი ჰყავს, შესაძლოა, მერე ოდესაზე იფიქროს. მას უნდა, საერთოდ ჩაკეტოს უკრაინა ზღვისგან. მარიუპოლი ვერ აიღო და ოდესას რას აიღებს. ალბათ შემოუვლის ოდესას, ალყაში მოაქცევს და გავა დნესტრისპირეთზე. ამით შეეცდება, გააკონტროლოს მოლდოვა. პუტინი ცდილობს, მოლდოვას შეუქმნას პრობლემები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ანუ მოლდოვა აქციოს თავის მძევლად. თუმცა, ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როგორ აიღებენ და როგორ მიხედავენ აზოვსა და მარიუპოლს. პუტინის გაცხადებული ამოცანაა, მთლიანად გააკონტროლოს ლუგანსკისა და დონეცკის ოლქები თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ჩვენ კი ვხედავთ, რომ ახლოსაც კი ვერ მივიდა ამ ამოცანასთან!

***– ანუ მოლდოვის ბედი დღეს მთლიანად უკრაინაზე გადის?***

– კი, რა თქმა უნდა! რუსეთი დასახულ ამოცანას ვერ ასრულებს. ამასობაში კი უკრაინაში მოდის ამერიკული დახმარება. ამერიკელებმა, ბრიტანელებმა და გერმანელებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, დაეხმარონ უკრაინას მძიმე ტექნიკით. ამ ფონზე, რაც უფრო დროს წელავს რუსეთი და სხვა გზა არც რჩებათ, უკრაინელები იღებენ სამხედრო დახმარებას. თუ დროულად მიუსწრებთ ეს სამხედრო დახმარება, შესაძლოა, უკრაინელებმა მთლიანად გაწმინდონ ქალაქები და კონტრშეტევა განახორციელონ. ეს გამორიცხული არ არის. ამიტომ ეს ორი-სამი კვირა პრინციპულად მნიშვნელოვანია. ახლა 9 მაისს ეკარგება ფუნქცია და ბრძოლები გადადის საბოლოო შედეგისკენ, როცა რუსეთი უნდა მიხვდეს, რომ წინააღმდეგობას აზრი არა აქვს. უკრაინის დემილიტარიზაცია უნდოდა პუტინს და პირიქით მიიღო, უკრაინამ გაუნადგურა ჯარიც და იარაღიც.

***– როგორია ჩვენი ბედი, მომავალი ამ რეალობაში? არის იმის საშიშროება, რომ რუსეთი საქართველოსაც მოუბრუნდეს? რას იტყვით ამაზე?***

– არა, ასე არ იქნება. რუსეთს დღეს მოლდოვა სჭირდება იმისთვის, რომ ის უკრაინის ბრძოლის ნაწილია. ჩვენ არა ვართ უკრაინის ბრძოლის ნაწილი. დღეს პუტინის უმთავრესი ამოცანა მოლდოვაც არ არის. მისი მთავარი ამოცანაა, უკრაინა ჩაჭრას ზღვიდან. თუ უკრაინას მოაცილებს ზღვას, მხოლოდ მაშინ დგება მოლდოვა დღის წესრიგში. თუ ვერ აცილებს, მაშინ რა დროს მოლდოვაა?!

***– ანუ ჩვენ ამ პერიოდში რუსეთისგან სერიოზულ საფრთხეს არ უნდა ველოდეთ?***

– ჩვენ ამ ყველაფრის ფონზე ბალახებში ვიმალებით. რუსეთი ბედნიერია დღეს საქართველოს ქცევებით. ჩვენთან რომ რამე გააკეთოს, გამოვა, რომ ეჭვქვეშ დააყენოს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება. „ქართული ოცნება“ ისედაც მზადაა, რომ ყველაფერში გაჰყვეს რუსეთს და ომი რაში სჭირდება პუტინს?!

***– რამდენად აზიანებს ჩვენს ქვეყანას „ქართული ოცნების“ ეს პოლიტიკა?***

– რა თქმა უნდა, აზიანებს. აშკარად ჩანს, რომ რუსეთი კმაყოფილია, ჩვენ რუსეთის დირექტივებს ვასრულებთ. ჰააგაში ხმას ვაძლევთ რუსეთის წინააღმდეგ და ჩემთვის გაუგებარია, ამ ფონზე რატომ ეშინია განცხადებების გაკეთების ჩვენს ხელისუფლებას? როდესაც ხმას ვაძლევთ გაეროში რუსეთის გარიცხვას, მაშინ რატომ არ კითხულობენ, აბა, ომი გინდათ?! ეს ურთიერთგამომრიცხავი ქმედებებია. დღეს არავინ აღარ საუბრობს იმაზე, რაზეც გამუდმებით საუბრობდნენ, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან! ამაში ახალი არაფერია! რატომ გვეშინია იმის თქმის, რასაც ყოველთვის ვამბობდით?! რუსეთმა ხელი მოაწერა ჯარების გაყვანას და ეს უნდა შეასრულოს. ამას ყოველთვის ვამბობდით და ახლა რა დაგვემართა?!

***– ამას რით ხსნით?***

– როგორც ჩანს, რუსეთისგან არსებობს შემდეგი დირექტივები, რომლებიც „ოცნების“ ხელისუფლებამ მიიღო. რუსეთი ეუბნება მათ, მსოფლიოსთან ერთად, ჩემ წინააღმდეგ, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ოღონდ ცალკე ნუ გააკეთებთ, ცალკე ნუ იმოქმედებთ ჩემ წინააღმდეგ! საქართველო მაგალითი არ უნდა იყოს ჩემი აგრესიისა! არ უნდა წარმოჩნდეს საქართველოს ექსკლუზიური პრეტენზიები რუსეთის მიმართ, კონკრეტულად კი – ოკუპაცია, რასაც აქამდე ყოველთვის ვამბობდით. ახლა ამის თქმა არ შეიძლება. არავის ომი არ უნდა, ამას რეგვენები ამბობენ. გავა რუსეთი, აქ დგას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და სწორედ მათ უნდა ვთხოვოთ, რომ ამ მისიამ შეიძინოს სამშვიდობო ძალების დატვირთვა, იმიტომ, რომ აფხაზებსა და ოსებს მართლა ეშინიათ, თუ რუსული ჯარები გავლენ საქართველოდან, ისინი პირისპირ დარჩებიან ქართველებთან. ეს არის ძალიან კარგი ალტერნატივა, რუსეთის ჯარების სანაცვლოდ ევროკავშირის სამშვიდობო მისია და ეს აფხაზებმა და ოსებმაც უნდა იცოდნენ. ჩვენ მათთან ომი არ გვინდა. ჩვენ გვინდა მშვიდობიანი მოლაპარაკებები. აი, ამაზე უნდა საუბრობდეს დღეს ხელისუფლება და არა შიშით ბუჩქებში იმალებოდეს.

***– „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში რამდენად რეალური და შესაძლებელია ეს ყველაფერი, როცა მათ პოლიტიკას ვადევნებთ თვალს?***

– შეუძლებელია! დღეს „ქართული ოცნება“ არის რუსული „ეძინაია რასიას ფილიალი“. ამიტომ შეუძლებელია ამის გაკეთება! ეჭვი მეპარება, ეს ხელისუფლება ამის გამკეთებელი იყოს. არაფერს არ აკეთებენ, არ საუბრობენ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანია. დღეს რუსეთს სჭირდება, საქართველო იყო ჩუმად, დადუმდეს, არანაირი გეოპოლიტიკური მოძრაობები არ აკეთოს, საერთოდ იყოს მკვდარი და, ჰოდა, ჩვენც ვართ მკვდრები!

# ჩეხეთში ექსპორტი 177%-ით გაიზარდა — რას ვყიდით და ვყიდულობთ

საქართველოში საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმი მიმდინარეობს. ფორუმში 200-მდე ქართული და ჩეხური კომპანია მონაწილეობს. მათ შორისაა 20-ზე მეტი ბიზნესმენი ჩეხეთიდან, რომლებიც წარმოადგენენ მშენებლობისა და დეველოპმენტის, ენერგეტიკის, ტურიზმის, სამედიცინო ტექნოლოგიების, სივრცითი დაგეგმარების, სატრანსპორტო სისტემებისა და სხვა სექტორებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ეკონომიკური ურთიერთობა აქვთ საქართველო-ჩეხეთს, როგორია ინვესტიციების მაჩვენებელი და ვაჭრობა.

საქსტატის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-მარტში საქართველოდან ჩეხეთში ექსპორტი 177%-ით გაზარდა და 4,609 მლნ დოლარი შეადგინა (2021 წლის 3 თვეში – 1,663 მლნ დოლარი), იმპორტმა კი 43,2%-ით მოიმატა – 19,285 მლნ დოლარიდან 27,626 მლნ დოლარამდე.

გთავაზობთ ტოპ-10 პროდუქტს, რომლებიც წელს ჩეხეთში ვიყიდეთ და გავყიდეთ:

**იმპორტი:**

სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით – 8,718 მლნ დოლარი;

გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები – 2,641 მლნ დოლარი;

საქონელი ატრაქციონებისათვის, სამაგიდო ან ოთახის თამაშობანი – 1,176 მლნ დოლარი;

მსუბუქი ავტომობილები – 985,8 ათასი დოლარი;

სანიტარიულ-ჰიგიენური საფენები და ტამპონები, ბავშვის სახვევები და ამოსაფენები და ანალოგიური ნაწარმი, ნებისმიერი მასალისაგან – 779,8 ათასი დოლარი;

მანქანები მასალების ისეთი პროცესებით დასამუშავებლად, რომლებშიც გამოყენებულია ტემპერატურის ცვლილება – 763,6 ათასი დოლარი;

საშუალებები თმისათვის – 702,4 ათასი დოლარი;

აპარატურა ელექტრული 1000 ვატზე მეტი ძაბვის წრედების კომუტაციის ან დაცვისათვის – 680,9 ათასი დოლარი;

მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები პლასტმასებისაგან – 674,8 ათასი დოლარი;

აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის – 674,5 ათასი დოლარი.

**ექსპორტი:**

ძრავები ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი, ტურბინები აირის სხვა – 2,290 მლნ დოლარი;

თხილი და სხვა კაკალი – 491,6 ათასი დოლარი;

ტომრები და პაკეტები შესაფუთი – 306,8 ათასი დოლარი;

ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული – 182,8 ათასი დოლარი;

პლასტმასის დანარჩენი ნაწარმი – 146,8 ათასი დოლარი;

ტრაქტორების, მსუბუქი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ავტომობილების ნაწილები და მოწყობილობები – 142 ათასი დოლარი;

ყურძნის ნატურალური ღვინოები – 98,6 ათასი დოლარი;

ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი – 82,3 ათასი დოლარი;

კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟისა და კანის მოვლის საშუალებები – 80,9 ათასი დოლარი;

მოწყობილობები ელექტროგამანათებელი ან სასიგნალიზაციო – 77,7 ათასი დოლარი.

რაც შეეხება ინვესტიციებს, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის მონაცემებით ჩეხეთიდან საქართველოში 81,881 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ინვესტიციების დაახლოებით 25%-ია. შარშან ევროკავშირის ქვეყნებიდან 327,877 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა.

# 10 პროდუქტი, რომლების წინა თვეში ყველაზე მეტად გაძვირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 1.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის აპრილში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.7 პროცენტით განისაზღვრა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ტოპ-10 პროდუქტს, რომლებზე ფასიც აპრილში ყველაზე მეტად გაიზარდა:

კომბოსტო – 289.8%-ით; ბადრიჯანი – 119.9%-ით; ქლიავი – 56.7%-ით; მარგარინი – 54.2%-ით; კარტოფილი – 53.9%-ით; დიზელის საწვავი – 53.5%-ით; კიტრი – 44.1%-ით;

ელექტროყავადანი – 42.6%-ით; ბენზინი – 41.4%-ით; წიწიბურა – 39.4%-ით.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კობახიძემ სააკაშვილს კი არა, ნახევარ მილიონ ადამიანს დასცინა“

## სოსო ცინცაძე: „შუა საუკუნეებში ევროპის მონარქები სასიკვდილოდ განწირულებს ეუბნებოდნენ, თავზე ხელს დაგადებთ და მორჩებითო – ასეთ განცხადებებს აკეთებენ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, სააკაშვილთან დაკავშირებით ხელისუფლება უცხოეთთან ვაჭრობს და, თუ დასჭირდება, გაცვლისო. უშვებთ ასეთ რამეს?***

– არაფერი არ არის გამორიცხული, თუმცა ორი დაინტერესებული მხარე უნდა არსებობდეს, რომ ასეთი „გარიგება“ შედგეს. შეიძლება, ეს იყოს პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, დღევანდელ პოლიტიკურ პროცესებს რომ ვუყურებ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკა პოლიტიკოსებისგან დაიცალა. პარლამენტში არც ერთ მხარეს, არც ოპოზიციისა და არც ხელისუფლების მხარეს, პოლიტიკოსები აღარ დარჩნენ. ეს ძალიან სახიფათოა.

***– რა შეიძლება იყოს ასეთი ვაჭრობის საგანი?***

– სანქციების სანაცვლოდ გამოუშვან, რა თქმა უნდა, თუ სანქციები დაემუქრება ვინმეს.

***– ოჯახი ისევ აქციებზე საუბრობს. აქციებიც იყო, შიმშილობაც, მაგრამ შედეგი არ დადგა. რამდენად რეალურია იმ რაოდენობის ხალხის გამოსვლა, რომელიც „ოცნებას“ დააფიქრებს?***

– მე იმ რაოდენობის ხალხს არ ველოდები, რომ ამან გავლენა იქონიოს ხელისუფლებაზე. თუ საზოგადოება იქნებოდა სხვა საფეხურზე, მაშინ სხვა რეალობა იქნებოდა. აქ საუბარი იმაზე კი არ არის, რომ სააკაშვილს უჭერ მხარს, თუ მისი მოწინააღმდეგე ხარ, საუბარია ადამიანურობაზე, ჰუმანურობაზე, ბოლოს და ბოლოს, ქრისტიანულ მორალზე. ამაზე უნდა ამაღლდეს საზოგადოება. ამ ღირებულებებზეა საუბარი, რომ ადამიანი მიმტევებელი უნდა იყოს და არა შუა საუკუნეების მსგავსი შურისძიებით გამსჭვალული. ასე საზოგადოება ვერ განვითარდება.

***– პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილმა ნაციონალურ მოძრაობას საგამოძიებო კომისიის შექმნა შესთავაზა, თუმცა ერთი ხმა აკლდებათ. გიორგი გახარიას პარტია უარს ამბობს ამ თანამშრომლობაზე. გამოდის, კომისიას ვერ შექმნიან.***

– რომც შექმნან, რა შედეგი უნდა დადოს ამ კომისიამ?! ერთხელ ვნახეთ ასეთი კომისია. ეს იყო კატასტროფა. რომ ვუყურებდი, სირცხვილით ვიწვოდი. ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნები წინადადებას ვერ მართავდნენ, ადამიანები გამართულად ვერ საუბრობდნენ, ორ სიტყვას ერთმანეთს ვერ აბამდნენ. ვიღაცებმა ვითომ იმსჯელეს, დაწერეს დასკვნა და რა მერე, კრება დარჩა მხიარული. ამიტომ ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ იმ ამბავს, რომ ამ შემთხვევაში რაიმე შედეგი გამოიღოს ასეთმა კომისიამ.

სიმართლე გითხრათ, იმდენად მიკვირს, რატომ არ ქმნის ან ერთი, ან მეორე მხარე საერთაშორისო, მაღალი კლასის ექიმებით



დაკომპლექტებულ კონსილიუმს. ხომ გასაგებია, რომ ხელისუფლება უნდობლობას უცხადებს არსებულ კონსილიუმს. ან იუსტიციის მინისტრი რომ გამოდის და საზოგადოებას, ბოლოს და ბოლოს, ნახევარ მილიონ ადამიანს, რომელიც ნამდვილად არის დაინტერესებული მიხეილ სააკაშვილის ბედით, მისი ჯანმრთელობით, არსებულ კითხვებზე არ პასუხობს, რომ ამბობს, არ ჭამსო, წამლებს არ იღებსო. ეს არ არის კითხვაზე პასუხი. შექმნას საერთაშორისო ევროპული ან ამერიკული კონსილიუმი. წინასწარ ალიბს რომ იქმნის, წამლებს არ სვამს და ჩვენ რა ვქნათო. კობახიძემ საერთოდ კვერცხისა და ხაჭოს ჭამამდე დაიყვანა ყველაფერი. ეს არა სააკაშვილის, არამედ ამ ქვეყნის მოქალაქეების აბუჩად აგდებაა. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ იმ ნახევარი მილიონი მოქალაქის ხელისუფლებაც არის.

ან საერთოდ რა იყო კობახიძის მხრიდან ასეთი უგემოვნო ანგლობა. ეს იყო არაადეკვატურობის გამოვლენა მისი მხრიდან. ამით სააკაშვილს კი არა, ამ ქვეყნის მოქალაქეებს დასცინა. შუა საუკუნეებში ევროპის მონარქები სასიკვდილოდ განწირულებს ეუბნებოდნენ, თავზე ხელს დაგადებთ და მორჩებითო – ამ სტილში გაკეთებული განცხადება იყო.

***– დეპუტატი იაგო ხვიჩია სააკაშვილის ციხიდან გამოსვლის გზას ნაციონალური მოძრაობის დაშლაში ხედავს. ამაზე რას იტყვით?***

– არა, ხვიჩია ამბობს, მაშინ მივალ აქციებზე, თუ ნაციონალურ მოძრაობას დაშლიანო. რეალობას არიან მოწყვეტილი, საერთოდ სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ. თუ ოდნავ მაინც გესმის პოლიტიკის, როგორ უნდა იფიქრო, არათუ თქვა, ნახევარი მილიონი ამომრჩეველი ჰყავდეს პარტიას და მან თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს. ეს, იცით, რომელ სურვილს ჰგავს? პუტინი რომ გადადგეს, დაშალოს „ედინაი რასია“ და ნავალნი დაჯდეს პრეზიდენტად. ეს ხომ ფანტაზიაა. „გირჩი“ კი არა, „ოცნება“ უნდა ერქვათ. ნამდვილი „ოცნება“ ესენი არიან. ერთ სიმღერაში რომ არის – ეს იყო ოცნება, ეს იყო სიზმარი – ასეა მათი საქმე.

# კარლ ჰარცელი: „ბატონი სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება“

– ჩემთვის და ევროკავშირისთვის გადამწყვეტი მომენტი არის ის, რომ ბატონი სააკაშვილის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა.

– მე არ მაქვს ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ პირველწყაროდან, ასევე არ ვარ ექიმი, რომ სწორი შეფასება გავაკეთო. მაგრამ შეშფოთებული ვარ ბოლო დროს მიღებული ცნობებით, მათ შორის სამედიცინო ექსპერტებისგან, მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჩემთვის და ევროკავშირისთვის გადამწყვეტი მომენტი არის ის, რომ ბატონი სააკაშვილის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, არა როგორც პოლიტიკური არჩევანის საკითხზე, არამედ როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების საკითხზე, – აღნიშნა კარლ ჰარცელმა.

ის დარწმუნებულია, რომ მალე კითხვარის მეორე ნაწილსაც მიიღებენ.

– პროცესი კარგად მიდის, დადგენილი გრაფიკის შესაბამისად. მსურს ხაზი გავუსვა, რომ ეს პროცესი არ არის 100-მეტრიანი სირბილის სპრინტი, ამ პროცესში მთავარია არა სისწრაფე, არამედ პასუხების ხარისხი, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.



მისი თქმით, ელოდება, რომ ევროკომისია მომდევნო თვეში წარადგენს დასკვნას საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის შესახებ.

– მერგო პატივი, მიმეღო პრემიერ-მინისტრისგან ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილის პასუხები. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მალე კითხვარის მეორე ნაწილსაც მივიღებთ. პროცესი კარგად მიდის, უკვე დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

მსურს ხაზი გავუსვა, რომ ეს პროცესი არ არის 100-მეტრიანი სირბილის სპრინტი, რომ ამ პროცესში მთავარია არა სისწრაფე, არამედ პასუხების ხარისხი და ობიექტური შეფასება, რასაც ევროპული კომისია განახორციელებს ადგილზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ეს ეხება საქართველოს შესაბამისობა ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებთან და მთავარ ეკონომიკურ და სხვა კრიტერიუმებს.

რაც შეეხება დროის გრაფიკს.

მოლოდინი მაქვს, რომ ევროპული კომისია დასკვნას საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის შესახებ, სავარაუდოდ, მომავალ თვეში წარადგენს, – აღნიშნა ელჩმა.

მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, გამოაქვეყნებს თუ არა ევროკავშირის კითხვარსა და პასუხებს.

– თამაშის წესები ის არის, რომ ევროკავშირი უტოვებს უფლებას მთავრობას, გადაწყვიტოს, გამოაქვეყნოს თუ არა კითხვარი და კითხვარის პასუხები.

მივესალმები მთავრობის გადაწყვეტილებას კითხვარის გამოქვეყნების თაობაზე. ახლა მათი გადასაწყვეტია პასუხების გამოქვეყნება, – განაცხადა ელჩმა.

# აპრილში წლიურმა ინფლაციამ 12,8% შეადგინა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის აპრილში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 1.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 12.8 პროცენტი შეადგინა.



რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2022 წლის აპრილში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 5.7 პროცენტით განისაზღვრა.

ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.3 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 1.11 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (9.0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (7.4 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (4.7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4.1 პროცენტი), თევზეული (3.5 პროცენტი), ხილი და ყურძენი (3.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2.2 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1.8 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.7 პროცენტით, რაც 0.46 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაზრდილია სატრანსპორტო მომსახურებაზე (4.6 პროცენტი) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (3.9 პროცენტი);

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 4.9 პროცენტიანი მატება, რაც თვის ინფლაციაზე 0.17 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია როგორც ფეხსაცმლის (9.5 პროცენტი), ისე ტანსაცმლის (2.9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 21.3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 6.77 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (46.2 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (28.8 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (24.1 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (20.8 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (19.3 პროცენტი), თევზეული (18.9 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (18.0 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (17.6 პროცენტი), ხილი და ყურძენი (14.4 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (10.9 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 22.4 პროცენტით, რაც 2.7 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (29.1 პროცენტი), სატრანსპორტო მომსახურებაზე (10.8 პროცენტი) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3.9 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 9.4– პროცენტიანი მატება, რაც 0.97 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (14.4 პროცენტი), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (11.2 პროცენტი) და ფაქტობრივი გადასახადი საცხოვრებელზე (6.5 პროცენტი).

# საქართველოში ფქვილის ერთ-ერთმა მსხვილმა იმპორტიორმა საქმიანობა შეაჩერა

2022 წლის იანვარ-მარტში რუსეთიდან საქართველოში ფქვილის იმპორტი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თითქმის 12-ჯერ გაიზარდა (2021 წლის 3 თვეში რუსეთიდან იმპორტირებულ იქნა 847,9 ათასი დოლარის ღირებულების ფქვილი, 2022 წლის 3 თვეში – 10,146 მლნ დოლარის), თუმცა შემცირდა იმ კომპანიების რიცხვი, რომელთაც რუსეთიდან აღნიშნული პროდუქტი შემოაქვს. ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა იმპორტიორმა „მარდმა“ საქმიანობა შეაჩერა. კომპანიის დამფუძნებელი და მფლობელი ნუგზარ ღონიაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ აცხადებს, რომ მათ ერთი თვეა, საქმიანობა შეაჩერეს, რადგან პროდუქტს ლიკვიდურ ფასში ვერ ყიდულობდნენ. „ბოლო ერთი თვეა, რუსეთიდან ფქვილის იმპორტი შევწყვიტე. იმედი მაქვს, რომ დროებით. დეტალურად მიზეზებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ, მოკლედ რომ გითხრათ, ლიკვიდურ ფასში ველარ ვშოულობ პროდუქციას და ეს არის მთავარი მიზეზი.

სანამ შემოტანას შევაჩერებდი, პრობლემები ნამდვილად იყო რიგთან დაკავშირებით ლარსის საბაჟოზე. როგორც ვიცი, ეს მდგომარეობა ისევ ასე რჩება. ამბობენ, რომ რუსები ნელა მუშაობენ. ეს სპეციალურად ხდება, თუ არა, რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის დაზუსტებით.

რაც შეეხება გადახდის სისტემას, რუბლის ეკვივალენტში ხდებოდა და ხდება ანგარიშსწორება, მაგრამ არ არის მკაცრი მოთხოვნა, რომ მაინცდამაინც მათ ვალუტაში. იღებენ დოლარს და ევროსაც. იშვიათად, ვინმემ მაინცდამაინც რუბლი მოითხოვოს“, – ამბობს ღონიაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“.

ინფორმაციისთვის, საქართველოში ფქვილის იმპორტიორ ტოპ-10 კომპანიას შორის გასულ წელს კომპანია „მარდიც“ იყო. „მარდი“ 2011 წლის 30 სექტემბერს დარეგისტრირდა. კომპანიის 50% – ვასილ ვასაძეს, 50% კი ნუგზარ ღონიაშვილს ეკუთვნის. 2019 წლის 25 იანვრამდე კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ნუგზარ ღონიაშვილი იყო.

# შალვა პაპუაშვილი: „უკრაინული ინსტიტუციების განცხადებებს ფასი ეკარგება“

## საქართველო პრესის თავისუფლების ინდექსით 89-ე ადგილზეა



– არ ვიცი, როგორ მუშაობს უკრაინის დაზვერვა, მაგრამ ერთი რამ ვიცი – როდესაც იმ მეგობრის წინააღმდეგ, რომელიც გვერდში გიდგას პოლიტიკურად და ჰუმანიტარულად, გააჟღერებ ასეთ მძიმე ბრალდებას და მეგობარს, რომელსაც სამი ომი აქვს გამოვლილი, სადაც რუსეთი იყო ჩართული, დააბრალებ რუსეთთან გარიგებას, მინიმუმ რაღაც მტკიცებულება უნდა წარადგინო.

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც უკრაინის დაზვერვის განცხადება შეაფასა.

მისი თქმით, როდესაც მტკიცებულება წარდგენილი არ არის, ისევე როგორც წინა შემთხვევაში „ყველა დარწმუნდა, რომ ეს ბრალდება ტყუილია“.

– სამწუხაროდ, ასეთმა არასერიოზულმა ბრალდებებმა ფასი დაუკარგა ასეთი სახის განცხადებებს. ვხედავთ, ასეთი სახის განცხადებების ჯერადობამაც იმატა. არც რაიმე შედეგი აქვს. მათ შორის ოპოზიციაც, ნაწილობრივ არასერიოზულად აღიქვამს, როდესაც ბრალდებების წამოსროლა ხდება საქართველოს მიმართ ისე, რომ მტკიცებულება არ არის. სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

კითხვაზე, ხომ არ არის მოსალოდნელი აღნიშნული განცხადების შემდეგ უკრაინულ მხარესთან კომუნიკაცია, პაპუაშვილი ამბობს, რომ „ეს განცხადება ხელშესახებიც კი არ ყოფილა და კონკრეტული არაფერი თქმულა“.

– აქ რაიმე ხელშესახები განცხადებაც კი არ იყო, კონკრეტულადაც არაფერი თქმულა, უბრალოდ ბრალდება იყო. ვხედავთ, რომ სხვადასხვა ინსტიტუცია სხვადასხვანაირად მოქმედებს. ერთადერთი შედეგი ისაა, რომ ამ ინსტიტუციების განცხადებებს ფასი ეკარგება. არადა, ასეთ მდგომარეობაში, როდესაც ომია, მნიშვნელოვანია, რომ ამ ინსტიტუტებმა სერიოზულობა არ დაკარგონ“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ცნობისათვის, უკრაინის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთი სხვა ქვეყნების დახმარებით ცდილობს სანქციების გვერდის ავლას. დაზვერვის მონაცემებით, მოსკოვი საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან რუსული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრების მიმართულებით რეექსპორტის თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს. მათივე განმარტებით, ექსპორტზე მესამე ქვეყნებში პროდუქციის გატანა იგეგმება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული პროდუქციის საფარქვეშ. უწყების ცნობით, სწორედ ამიტომ, ამ ქვეყნებში უკვე 200-ზე მეტი ახალი კომპანიაა დაფუძნებული.

შალვა პაპუაშვილის თქმით, ერთ-ერთი პოზიცია, სადაც საქართველო, სამწუხაროდ, არ არის წამყვან პოზიციაზე, არის ის, რომ მედია არის მიკერძოებული.

– აქ საუბარია იმაზე, რომ ხშირად სარედაქციო პოლიტიკა მედიის მეპატრონეთა გავლენის ქვეშაა, რაც, რა თქმა უნდა, მედიის თავისუფლებას აზიანებს.

ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ პრესის თავისუფლების კვლევას, სადაც საქართველოში პრესის თავისუფლება კვლავ პრობლემურად არის შეფასებული.

შალვა პაპუაშვილის თქმით, ობიექტური, მიუკერძოებელი და ეთიკური ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გვყავდეს ინფორმირებული ამომრჩეველი და ერთ-ერთი გამოწვევა სწორედ ესეც არის.

პაპუაშვილის შეფასებით, კვლევაში ყურადღება ამ მხრივაცაა გამახვილებული.

– ერთ-ერთი პოზიცია, სადაც საქართველო, სამწუხაროდ, არ არის წამყვან პოზიციაზე, არის ის, რომ მედია არის მიკერძოებული. აქ საუბარია იმაზე, რომ ხშირად სარედაქციო პოლიტიკა მედიის მეპატრონეთა გავლენის ქვეშაა, რაც რა თქმა უნდა, აზიანებს მედიის თავისუფლებას, ვინაიდან არის გარკვეული, წინასწარ ჩამოყალიბებული სარედაქციო პოლიტიკა. თავისთავად 5 ივლისის ფაქტიც ამ შეფასებაზე გავლენას იქონიებს.

ჩვენ ვნახეთ, რომ ეს იყო საქართველოს ისტორიული კონტექსტიდან ამოვარდნილი ძალადობა, რომელიც ერთჯერად აქტად დარჩა და ეს მნიშვნელოვანია, – განაცხადა პაპუაშვილმა.

მისივე თქმით, რა თქმა უნდა, 5 ივლისის მოვლენები შეფასებაში თავის როლს შეასრულებდა, მაგრამ საერთო ჯამში „მოძრაობები ხდება, ქულა ზოგს მოემატა, ზოგს დააკლდა“. თუმცა, როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, აქ მნიშვნელოვანია ის, რომ საერთო ჯამში, საქართველო არის იმ ჯგუფში, სადაც, მათ შორის, ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები არიან.

– ასე რომ, მედიის თავისუფლებას რაც შეეხება, ეს არის ყოველდღიური სამუშაო, მათ შორის, ჟურნალისტების მხრიდანაც. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ და მოგიწოდოთ, რომ ეთიკური, პროფესიული და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ინფორმირებული მოქალაქეები გვყავდეს, – განაცხადა პაპუაშვილმა.

მისივე განმარტებით, 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით 100-ზე მეტი ადამიანი დააკავეს, სისხლის სამართლის წესით რამდენიმე საქმე მიმდინარეობს და განაჩენებიც დადგა, „ასე რომ, სახელმწიფო ამას ასრულებს“. რაც შეეხება სარედაქციო მიუკერძოებლობას, როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, ამასთან დაკავშირებით რთულია, რამე გააკეთოს სახელმწიფომ.

– ეს არის ის მომენტი, როდესაც ჟურნალისტებმა საკუთარი ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე მიუკერძოებელი ჟურნალისტიკა უნდა აკეთონ, რომელიც იქნება დამოუკიდებელი პოლიტიკური დღის წესრიგიდან, – აცხადებს პაპუაშვილი.

ცნობისთვის, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ პრესის თავისუფლების 2022 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველოში პრესის თავისუფლება კვლავ პრობლემურად არის შეფასებული.

მას ორგანიზაციის მიერ 59,30 ქულა აქვს მინიჭებული და ის 180 ქვეყანას შორის პრესის თავისუფლების ინდექსით 89-ე ადგილზეა.

# რუსი ოპოზიციონერები პუტინის მოშორებას ელიტებს შორის კონფლიქტის გზით ელიან

## სანქციებისთვის გვერდის ავლისას რუსეთი ირანის გამოცდილებას იყენებს

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინაში ინტერვენტი რუსეთი ომს აგრძელებს. მოსალოდნელია შეტევები ლუგანსკისა და დონეცკის მიმართულებით. გამოითქმის ვარაუდები, რომ კრემლი გამოაცხადებს საყოველთაო მობილიზაციას. პუტინის სავარაუდო მომავალ სამიზნეებად სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები და ექსპერტები ისევ ასახელებენ მოლდოვასა და ხანდახან, მოლდოვასთან ერთად, საქართველოს. რუსეთის ოპონენტები აგრძელებენ მსჯელობას პუტინის ჩამოშორების შესაძლებლობებზე.

### „სანქციები რეალურად ურტყამს რუსეთის ეკონომიკას“

პუტინის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ოპონენტის ალექსეი ნავალნის შტაბის ყოფილი უფროსი ლეონიდ ვოლკოვი გამორიცხავს, რომ პუტინის გადაყენება შესაძლებელია საპროტესტო მარშებით. ნავალნის თანამოაზრის თქმით, ეს შესაძლებელია რუსეთის ელიტებს შორის კონფლიქტით. ამ ელიტებმა გაითავისეს ორი რამ – პუტინის სამხედრო გეგმები უკრაინაში არარეალური აღმოჩნდა, სანქციები კი რეალურად ურტყამს რუსეთის ეკონომიკას.

ამ მასშტაბის სანქციები რუსეთისთვის აქამდე არ დაუწესებიათ. საერთაშორისო საზოგადოება მსჯელობს სანქციების დამატებასა და გამკაცრებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში – სრულ ემბარგოზე, განსაკუთრებით – ნავთობისა და გაზის სფეროში, რათა კრემლს არ დარჩეს ფული ომის დასაფინანსებლად. გერმანიის ფედერაციაში უკრაინის ელჩი მელნიკი მოუწოდებს ამ ქვეყანას, ბოიკოტი გამოუცხადოს რუსულ ტვირთებს პორტებში:

– მოვუწოდებ გერმანიის ფედერალურ მთავრობას, ფედერალური მიწების ხელისუფლებებს, პორტებს, მოახდინონ რუსული გემების ბოიკოტირება, განსაკუთრებით – ტანკერებისა.

### რა სქემები აამუშავეს სანქციებისთვის თავის ასარიდებლად რუსეთში

დასავლური და რუსული მედია დროდადროააშკარავებს მექანიზმებს, რომლებითაც რუსეთი პასუხობს ანტირუსულ სანქციებს. ამაში რუსეთს ეხმარება ირანი, რომელსაც სანქციებთან ფარული შეწინააღმდეგების გამოცდილება დაუგროვდა. მარტის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ რუსეთი შეზღუდვებისგან თავის არიდების მეთოდებს ირანთან ერთად შეიმუშავებს. მოლაპარაკებების მონაწილეებმა ეს საიდუმლოდ დატოვეს. სანქციებისგან თავის დაძვრენისა და გადარჩენის ზოგიერთი სქემა სააშკარაოზე მაინც გამოდის.



პირველ რიგში, დარჩენილ პარტნიორებთან ვაჭრობისას რუსეთი გადადის ეროვნულ ვალუტებზე. საუბარია ჩინეთსა და ინდოეთზე („ბრიკსის“ ქვეყნები). ანალოგიური გათვლები აქვს რუსეთის მთავრობას ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან.

### რა მაქინაციას იყენებს რუსეთი სათბობის სფეროში?

რუსეთი სანქცირებული ნავთობის გატანის კუთხით დაადგა ირანის მიერ აპრობირებულ მეთოდს. აპრილში რუსეთმა ევროპის მიმართულებით 1,6 მილიონ ბარელამდე გაზარდა ტანკერებით ნავთობის გადაზიდვა. მარტში ეს მონაცემი 1,3 მილიონი ბარელი იყო. ამასთან, აპრილში პროდუქციის 40%-ს არ ეწერა დანიშნულების პუნქტი და ჰქონდა წარწერა: „დანიშნულების პუნქტი უცნობია“. ასეთ მეთოდს მიმართავდნენ ირანი და ვენესუელა. ისინი სანქცირებულ ნავთობს ასხამდნენ მსხვილ ტანკერებში, სადაც ურევდნენ სხვა პროდუქციას. ამგვარი მექანიზმის გამოყენება დასავლეთის კომპანიებსაც შეუძლიათ.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ევროპელმა ტრეიდერებმა აპრილის დასაწყისში დაიწყეს ვაჭრობა ე.წ. ლატვიური ნავთობის ნარევით. ლატვიის ვენტსპილსის პორტში სხვადასხვა ხარისხის რუსულ ნავთობს ურევდნენ ლატვიურში. ბრიტანულ-ნიდერლანდური კომპანია „შელი“ რუსულად არ თვლიდა პროდუქციას, სადაც 50%-ზე ნაკლები რუსული ნავთობი იყო. 28 აპრილიდან „შელმა“ უარი თქვა ნებისმიერ შერეულ ნავთობზე, რომელშიც რუსული წილი ერია.

### რას აკეთებს რუსეთი უკანონო პარალელური იმპორტისთვის?

ანალიტიკოსების დასკვნით, სანქციების გვერდის ავლისათვის გამოიყენება პარალელური იმპორტი, რომელიც რუსეთის ფედერაციაში ლეგალიზებულია. ეს უმთავრესად ეხება ევროპულ პროდუქციას (მათ შორის, ელექტროტექნიკურ, ნავთობისა და გაზისათვის აუცილებელ მოწყობილობებს), მწარმოებლების თანხმობის შემთხვევაში. ამგვარი იმპორტისათვის არსებობს ორი გზა. პირველის შემთხვევაში, მწარმოებელი თვითონ ურიგდება სხვა ქვეყნების კომპანიებს, რომლებიც შემდეგ ამ ტვირთებს რუსეთში შეიტანენ. მეორე ვარიანტით, მწარმოებლების ინფორმირების გარეშე პროდუქციას შეიძენს სხვა ქვეყნის, მაგალითად, ყაზახეთის კომპანია, რომელიც მოგვიანებით მას რუსეთში გააგზავნის.

უკრაინის დაზვერვის განცხადებები თუ გაფრთხილებები იმაზე, რომ ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის, საქართველო, ეხმარება რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში, როგორც ჩანს, რუსეთის მიერ ამ სქემის გამოყენებასა და მისგან თავის არიდებას გულისხმობს. სხვა საკითხია, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ მტკიცებულებები ამ მხრივ არავის წამოუყენებია.

ექსპერტების თქმით, რუსეთში დანერგილი პარალელური იმპორტი დაბრკოლებებსაც აწყდება. მაგალითად, ზოგიერთი მოწყობილობის ამუშავება მოითხოვს საბოლოო მომხმარებლის ვერიფიკაციას.

# „არ ვაპირებთ, შევწყვიტოთ კორუმპირებულების მხილება“

## „ანტიკორუფციული მოძრაობა“ მამაცაშვილს პასუხობს



– არ ვაპირებთ, შევწყვიტოთ კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილება, – ასე პასუხობს „ანტიკორუფციული მოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციას „მორალური ზიანისთვის“ დიდ ფულს სთხოვს.

ვასო ურუშაძის განცხადებით, ისინი კვლავ გააგრძელებენ არაფორმალური პირების მხილებას, მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებში.

– როგორც ჩანს, სწორედ ეს ეწყინა და ეტკინა ბატონ მამაცაშვილს, იმიტომ, რომ ჩვენ არაერთხელ გავაჟღერეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის ამ ქვეყანაში ტრანსნაციონალური დანაშაულის ერთ-ერთი მფარველია, – თქვა ურუშაძემ.

ლაშა ფარულავა „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ ორგანიზაციის წინააღმდეგ ორკესტრირებული შეტევა მიმდინარეობს:

– ბატონი უჩა მამაცაშვილი ცდილობს, ალიბი შექმნას და საერთაშორისო გამოძიებას წარუდგინოს, რომ მის მიმართ გაკეთებული განცხადებები იყო ცრუ ინფორმაცია და ამისთვის კეთდება ეს ყველაფერი. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მისამართები და მტკიცებულებები, რომლებიც გადავეცით საერთაშორისო გამოძიებას და მათ დეტალური ინფორმაცია აქვთ, რა ხდება საქართველოში.

ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილმა, უჩა მამაცაშვილმა, ადვოკატი აიყვანა და არასამთავრობო ორგანიზაციებს სასამართლოში უჩივის.

ოლიგარქის ოჯახის წევრის პირველი სამიზნე „ანტიკორუფციული მოძრაობა“ გახდა.

მამაცაშვილი ამტკიცებს, რომ მას მორალური ზიანი მიაყენეს და კომპენსაციის სახით საერთო ჯამში 150.000 ლარს ითხოვს.

საქმე ეხება თაღლითურ სქემას, რომელიც ორგანიზაციამ გამოააშკარავა – მკვლევრები ე.წ. ქოლ-ცენტრების მუშაობასთან დაკავშირებით არსებულ სქემაზე საუბრობდნენ, რომლის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და უჩა მამაცაშვილი კოორდინირებულად თაღლითობენ.

ორგანიზაციამ კონკრეტული მისამართებიც დაასახელა, „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წევრები ადგილზეც მივიდნენ, პოლიციაც გამოიძახეს, თუმცა სამართალდამცავებმა საპოლიციო მოქმედებები არ ჩაატარეს.

# პროკურატურამ ქოლ-ცენტრების მეშვეობით თაღლითობაში ჩართული 9 პირი გამოავლინა



საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ე.წ. ქოლ-ცენტრების მეშვეობით თაღლითობასა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში ჩართული 9 პირი გამოავლინა.

გენერალურმა პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი 7 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ.

„საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის პერიოდში, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების მოქალაქეების კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს და მოახდინეს დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა საქართველოში დაფუძნებული საწარმოების ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლ-ცენტრი. დანაშაულებრივი ჯგუფის სამიზნეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები წარმოადგენდნენ.

ე.წ. ქოლ-ცენტრის თანამშრომლები უკავშირდებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, ეცნობოდნენ გამოგონილი სახელებით, მათი კომპანიის ადგილსამყოფლის შესახებ აწვდიდნენ ყალბ ინფორმაციას და სთავაზობდნენ ფასიანი ქაღალდების, აქციების, ვალუტებისა და კრიპტოვალუტების ელექტრონულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

ოპერატორები მომხმარებლებს არწმუნებდნენ, რომ მათი დახმარებით სოლიდური მოგების მიღებას შეძლებდნენ. მომხმარებლისგან თანხმობის მიღების შემდგომ, მათგან გამოყოფილი თანხების განთავსება ხდებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის კონტროლის ქვეშ არსებულ საბანკო ანგარიშებზე და მათი ნაწილი, ფიქტიური დანიშნულებით, ირიცხებოდა საქართველოში მათივე კომპანიების ანგარიშებზე.

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის დაიწყო, რაც სასჯელის ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით დაიწყო, რაც სასჯელის სახედ ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევასა და ჯარიმას ითვალისწინებს", – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

გენერალური პროკურატურის ცნობითვე, მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში, ანალოგიურ ფაქტზე ამ ეტაპისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი 24 ფიზიკური და 2 იურიდიული პირის მიმართ, ხოლო 1 პირის მიმართ მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები.

„როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, გარდა საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისა, სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელის – ევროჯასტის მხარდაჭერით, საქართველოს მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საერთაშორისო გამოძიების ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ასევე დაწყებულია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის, დანაშაულის ორგანიზატორთა მიმართაც.

საქმეზე გრძელდება ინტენსიური გამოძიება და საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით", – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

# სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ფაქტზე 5 პირი დამნაშავედ ცნო



საქართველოს პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ფაქტზე 5 პირი დამნაშავედ ცნო. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ცნობით, სასამართლო პროცესებზე გამოკვლეული მტკიცებულებებითა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს მოქალაქემ, რომელიც გაერთიანებული იყო უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოში", ამავე ორგანიზაციაში საქართველოს კიდევ 4 მოქალაქე გააწევრიანა.

ახლადგაწევრიანებული პირები სირიაში წასვლასა და „ისლამური სახელმწიფოს" რიგებში ბრძოლას გეგმავდნენ, რაც საქართველოს პროკურატურისა და კონტრტერორისტული ცენტრის მიერ განხორციელებული ერთობლივი მოქმედებებით დროულად აღიკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთი პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანების და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო 4 პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით (ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა) და მათ სასჯელის სახედ და ზომად 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.

# გუდაურის სასტუმროში რუსეთის მოქალაქის ცხედარი იპოვეს

## მას ვენები ჰქონდა გადაჭრილი



„არ დამკრძალოთ რუსეთში, მიმაბარეთ ქართულ მიწას!"

აღნიშნული შინაარსის წერილი და რუსეთის მოქალაქის ცხედარი სასტუმრო თვინსის ერთ-ერთ ნომრის სააბაზანოში დამლაგებელმა აღმოაჩინა.

ამ დროისთვის სასტუმრო საგამოძიებო მოქმედებების ეპიცენტრია. სამართალდამცველები ადგენენ, რუსეთის მოქალაქემ თავი მოიკლა თუ ის მოკლეს და შემდეგ სუიციდის ინსცენირება დაგეგმეს.

გამოძიებისთვის ერთადერთი ხელჩასაჭიდი სასტუმროს ნომერში დატოვებული წერილია, რომელშიც რუსეთის მოქალაქე წერს, რომ ემიჯნება უკრაინაში ომს. ახლა კალიგრაფიულმა ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, წერილი ნამდვილად სიკვდილის წინ გარდაცვლილმა დაწერა თუ საქმე კარგად მოფიქრებულ სცენართან გვაქვს.

ტვ პირველის ინფორმაციით, 40 წლამდე მამაკაცი პუტინის პოლიტიკას ემიჯნებოდა და უკრაინაში ომის დაწყებას აპროტესტებდა. ბოლოს საქართველოში ათი დღის წინ ჩამოვიდა და ბინა გუდაურის სასტუმროში დაიდო. პირველადი დათვალიერებით, გარდაცვლილს ვენები ჰქონდა გადაჭრილი.

გუდაურში სასტუმრო თვინსის ყველა კუთხე სათვალთვალო კამერებით არის აღჭურვილი. ახლა გამოძიებამ ვიდეომასალის გაშიფვრის შემდეგ უნდა დაადგინოს, ვის ხვდებოდა რუსეთის მოქალაქე სიკვდილამდე და იყო თუ არა რაიმე საეჭვო.

პოლიციამ გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

# თელავში მანქანა ჯერ ქალს დაეჯახა, მერე — ბავშვს



თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ბმვ-ს მარკის ავტომანქანა, რომელიც, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, ჯერ ქვეითად მოსიარულე ქალს შეეჯახა, შემდეგ კი – მეხუთე კლასის მოსწავლეს.

60 წლამდე ქალი და ბავშვები გაჩერებაზე იდგნენ, როდესაც სწრაფად მიმავალი ავტომანქანა ჯერ ქალს დაეჯახა, შემდეგ კი – 11 წლის ბავშვს.

ქალი ადგილზე დაიღუპა, ბავშვი კი უმძიმესი მდგომარეობით თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ცნობილია, გარდაცვლილი ქალი გვერდით სოფელში, სკოლაში მიდიოდა. ის მასწავლებელი იყო, დაშავებული ბავშვი კი – ამავე სკოლის მოსწავლე.

ექიმების განმარტებით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა და, შესაძლოა, ის თბილისში გადაიყვანონ.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

# ავარიაში დაშავებულ ქალს გული არჩილ მარშანიამ აუმუშავა



შარტავას ქუჩაზე მომხდარი ავარიის შედეგად მძიმედ დაშავებულ ქალს ცნობილმა ექიმმა არჩილ მარშანიამ, რომლის გვერდითაც ის შემთხვევით აღმოჩნდა, გული აუმუშავა.

ამ შემთხვევის შესახებ სოფიო ლაზარია წერს და ადგილიდან ფოტოებსაც აქვეყნებს:

„როგორ უნდა გაგიმართლოს და მძიმე ავარიის დროს ერთ-ერთი საუკეთესო ექიმი და ადამიანი აღმოჩნდეს შენ გვერდით, გაჩერებულ გულს გიმუშავებდეს და სამშვიდობოს გადასცემდეს შენს თავს სასწრაფო ბრიგადას...

შარტავას ქუჩაზე ავტომობილი და მოტოციკლი ერთმანეთს შეეჯახა. არიან დაშავებულები.

როგორ ვამაყობ მსგავსი ადამიანებით და მით უფრო, თუ ჩემი გულშემატკივარი და მეგობარია.

მახსოვს, ძალით მიმიყვანა თავის ტრენინგზე, ე, გოგო, მოდი, გასწავლი პირველად დახმარებას, შვილების დედა ხარ, არ იცი, ვისთან რა და როგორ გამოგადგებაო... მადლობა, რომ დამაძალე და ვფიქრობ, ისევ ხომ არ გავიმეოროთ. იმედია, ეს სიფრიფანა, სინაზე გოგო მალე გამოკეთდება.

ბოდიში, ფოტო მძიმეა, ვდებ იმიტომ, რომ ნათლად დაინახოთ, რა შეუძლია სიკეთეს".

# 2 წლის წინ გაუჩინარებული ქალის მეუღლე მეზობელ ქალს ადანაშაულებს



მზია ბედმანიკაშვილის საიდუმლო გაუჩინარებას ფარდა ორი წლის შემდეგ აეხადა. 2 წლის წინ გაუჩინარებული ქალის მეუღლე მეზობელ ქალს ღიად ადანაშაულებს.

სიტყვიერი დაპირისპირება მათ შორის სამართალდამცველების თანდასწრებით მოხდა. ოჯახს სჯერა, რომ 68 წლის მზია ბედმანიკაშვილს, რომელსაც დღემდე ეძებენ, მეზობელმა ჯერ თავისუფლება აღუკვეთა, შემდეგ კი გულის შეტევით გარდაცვლილი ქალი საკუთარ ეზოში დამარხა.

ქალი, რომელსაც დაკარგულის ოჯახი ამხელს, დანაშაულთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს. მიმდინარე საგამოძიებო ღონისძიებებს ის მთელი დღე აკვირდებოდა.

ქალის გაუჩინარების პირველ დღეებში მეზობლებს სავარაუდო ეჭვმიტანილის სახლიდან ხმამაღალი მუსიკის ხმა ესმოდათ. მათი ვერსიით, ამით ეჭვმიტანილი დაბმული ქალის ხმის გადაფარვას ცდილობდა. ოჯახს ეჭვს უმყარებს საგამოძიებო მოქმედებების ადგილზე ამოღებული ქოლგა, რომელიც, მათი მტკიცებით, დაკარგულს ეკუთვნოდა.

რა ვერსია აქვს გამოძიებას, ჯერ უცნობია. მეზობლები ეჭვმიტანილის ფსიქიკურ პრობლემებზე საუბრობენ. კიდევ ერთი ვერსიით, დანაშაულის მოტივი შესაძლოა თანხა იყოს, რომელიც მზია ბედმანიკაშვილს დაკარგვამდე თან ჰქონდა.

თელავის სოფელ შალაურში 68 წლის ქალი 2020 წლის 16 ივლისს გაუჩინარდა.

ბოლოს ის ოჯახს ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა, რომ გზა აებნა, რის შემდეგაც ქალთან კავშირი გაწყდა და მას მერე მისი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერია ცნობილი.

# ლიბანის ორი მოქალაქის საქართველოდან ამერიკაში ექსტრადიცია განხორციელდა




საქართველოს პროკურატურასა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს შორის გაფორმებული ერთობლივი დეკლარაციის ფარგლებში, აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ლიბანის რესპუბლიკის ორი მოქალაქის საქართველოდან ამერიკაში ექსტრადიცია განხორციელდა. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მისივე ცნობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის განმახორციელებელი ლიბანური ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ამავე ორგანიზაციის წევრი, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების ვაჭრობით მიღებული დიდი ოდენობით შემოსავლების შეგროვებას, ლეგალიზაციას და სამოქალაქო ბრუნვაში მიქცევას ახორციელებდნენ, ხოლო გაწეული მომსახურებისთვის გარკვეული ოდენობის შემოსავალს იღებდნენ.

„ძებნილი ლიბანის მოქალაქეები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2021 წლის 25 სექტემბერს დააკავეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია დასაშვებად ცნო როგორც თბილისის საქალაქო, ისე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

საქართველოს პროკურატურა პარტნიორ ქვეყნებთან ძებნილი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლებს", – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ხაშურში მამაკაცმა 64 წლის ქალის გაუპატიურება ცადა

ხაშურის პოლიციამ დააკავა კაცი, რომელსაც 64 წლის ქალის გაუპატიურება ედება ბრალად – ამის შესახებ ინფორმაციას შიდა ქართლის საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

მედიის ცნობით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა 64 წლის ქალის გაუპატიურება ცადა, შემდეგ კი ფული და ტელეფონი წაართვა.

არსებული ინფორმაციით, 64 წლის ქალს ექიმების დახმარება დასჭირდა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ის საავადმყოფოში გადაიყვანა.

გამოცემის ცნობით, საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

# ბორის ჯონსონი: „უკრაინელებზე 86.000 ვიზა გავეცით“



გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონის ინფორმაციით, ქვეყანამ უკრაინელ ლტოლვილებზე უკვე 86 ათასი ვიზა გასცა.

მისი თქმით, 27 ათასი ვიზის მფლობელი უკვე ბრიტანეთშია.

როგორც ბორის ჯონსონმა განაცხადა, შეიძლება, ეს პროცესი უფრო სწრაფად წარმართულიყო, თუმცა საჭიროა ქალებისა და ბავშვების დაცვა იმისგან, რომ ისინი აღმოჩნდნენ იქ, სადაც მათ გულლია დახვედრა არ ელით.

– ჩვენ დიდი რაოდენობით ქალებსა და ბავშვებს გავუწიეთ დახმარება ადგილზე, მაგრამ ახლა ვხედავთ, რომ დიდი რაოდენობა მოდის გაერთიანებულ სამეფოში. ამ დრომდე 86 ათასი ვიზა გავეცით და მათგან 27 ათასი უკვე ჩამოვიდა. მინდა გითხრათ მადლობა – 27 ათასი ბევრია, ეს რაოდენობა სწრაფად იზრდება და მსურს, პატივი მივაგო ყველას, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს უკრაინელების მოვლაში.

შეგვეძლო, ეს უფრო სწრაფად გაგვეკეთებინა? დიახ, სავარაუდოდ, შეგვეძლო. ასევე მნიშვნელოვანია, დავიცვათ ქალები და ბავშვები იმისგან, რომ აღმოჩნდნენ იქ, სადაც მათ კარგად არ მიიღებენ, სწორედ ამიტომ ვატარებთ ამხელა სამუშაოს, – განაცხადა ჯონსონმა.

ცნობისთვის, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, ამ დროისთვის უკრაინა უკვე 5.563.959 ადამიანმა დატოვა.

# უკრაინაში აფეთქებისას დაშავებული 23 წლის ქალი, რომელმაც ორივე ფეხი დაკარგა, დაქორწინდა



ლისიჩანსკიდან 23 წლის მედდა, რომელმაც ორივე ფეხი დაკარგა, ლვოვში დაქორწინდა.

ქალი მარტის ბოლოს ნაღმზე აფეთქდა. მან ქორწილი საავადმყოფოს პალატაში აღნიშნა, სადაც რეაბილიტაციას გადის.

ლვოვში ლისიჩანსკიდან 23 წლის მედდა დაქორწინდა, რომელიც მტრის ნაღმზე აფეთქდა და ორივე ფეხი დაკარგა. მართალია, ოქსანა და მისი ქმარი ორ შვილს ზრდიან, მაგრამ დაქორწინება მხოლოდ ახლა გადაწყვიტეს.

მათ საქორწინო ცერემონიალი საავადმყოფოს პალატაში გამართეს.

ამ ინფორმაციას უკრაინული მედია, გამოცემა უნიანი ავრცელებს.

– ცხოვრება არ უნდა გადაიდოს მოგვიანებით, – ასე გადაწყვიტეს ოქსანამ და ვიქტორმა, რომლებიც ექვსი წელია, ერთად ცხოვრობენ, მაგრამ ამ დრომდე ქორწინებისთვის ვერ მოიცალეს.

ამიტომ წყვილმა საქორწინო ბეჭდები ლვოვში იყიდა, იპოვეს აქ თეთრი კაბა.

– ტორტი მოხალისეებმა გამოაცხვეს. ცერემონია რეესტრის ოფისში გაიმართა, ზეიმი კი – ჩვენი ქირურგიის ცენტრის პალატაში, – აცხადებენ ექიმები.

ახლა მეუღლეებს არ სურთ სიცოცხლის გადადება მოგვიანებით. ისინი ბედნიერები არიან და არ კარგავენ რწმენას, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

27 მარტს ლისიჩანსკში 23 წლის ოქსანა საყვარელ მამაკაცთან ერთად ქუჩაში მიდიოდა, როდესაც აფეთქება მოხდა.

ქალი წინ მიდიოდა, ფეხქვეშ კი ნაღმი აუფეთქდა. ის ძლიერ დაშავდა, ქვედა კიდურები და მარცხენა ხელზე ოთხი თითი მოსწყდა.

მას ოთხი ოპერაცია ჩაუტარდა. შემდეგ ოქსანა დნეპერში გადაიყვანეს, იქიდან კი – ლვოვში, სადაც რეაბილიტაციას გადის და პროთეზირებისთვის ამზადებენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# აზერბაიჯანი: „სომხეთმა ცეცხლი გაგვიხსნა“



აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს, აზერბაიჯანულმა მხარემ კი „ადეკვატური საპასუხო ზომები“ მიიღო.

– ბასარკეჩარის რაიონის იუხარი შორჟას დასახლებაში სახელმწიფო საზღვარზე განლაგებული სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები პერიოდულად ცეცხლს უხსნიდნენ აზერბაიჯანის არმიის პოზიციებს ქალბაჯარის რაიონის ზეილიკის დასახლების მიმართულებით. აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფებმა ადეკვატური საპასუხო ზომები მიიღეს, – აცხადებენ აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებაში.

მისივე ცნობით, მომხდარის შედეგად აზერბაიჯანულ მხარეს დანაკარგები არ განუცდია.

– ამ დროისთვის ამ მიმართულებით ვითარება სტაბილურია, ოპერატიულ სიტუაციას აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფები აკონტროლებენ, – აცხადებენ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში.

# ერევანში სამართალდამცავებმა აქციის 70 მონაწილე დააკავეს




პოლიციამ ერევანში 3 მაისს 70 მომიტინგე დააკავა.

ინფორმაციას ადგილობრივი მედია ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.

ერევნის პოლიციაში აცხადებენ, რომ აქციის მონაწილეები კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის არიან დაკავებული.

შეგახსენებთ, ერევანში სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები 2 მაისს, დილით დაიწყო.

მომიტინგეები პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და მისი გუნდის გადადგომას მოითხოვენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ბორჯომში კაცმა ცოლს 16 ჭრილობა მიაყენა



ბორჯომში 40 წლამდე ქალი ქმარმა დაჭრა. მას 16-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული.

დაჭრილს უკვე ჩაუტარდა ოპერაცია. ამ ეტაპზე იგი კლინიკაში რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

„სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, შემთხვევა ბორჯომში 1 მაისს მოხდა. კონკრეტულად რა გახდა დაჭრის მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

– ჩვენთან ქალბატონი მრავლობითი დაზიანებით 13:45 საათზე შემოიყვანეს. 16-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული. დაზიანებული იყო შინაგანი ორგანოები, ჩაუტარდა ოპერაცია, ამ ეტაპზე პაციენტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რჩება რეანიმაციულ განყოფილებაში, – ამბობს ბორჯომის „ჯეო ჰოსპიტალის“ ხელმძღვანელი ირაკლი დიასამიძე.

# ცხინვალის თეატრი საოკუპაციო ზოლთან სპექტაკლებს ითამაშებს




ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი 4 მაისს იწყებს საგასტროლო ტურნეს საქართველოს რეგიონებში სპექტაკლით, „მარო მაყაშვილის დღიური“.

მაისის თვე მთლიანად დატვირთულია სპექტაკლებით საოკუპაციო ზოლთან მცხოვრები და კომპაქტურად დასახლებული დევნილი მოსახლეობისთვის.

პირველ სპექტაკლს ცხინვალის თეატრი 4 მაისს სოფელ კოდაში ითამაშებს. საგასტროლო ტურნე გაგრძელდება სოფლებში: დვანი, წეროვანი, ნიქოზი, არბო. წარმოდგენა ნაჩვენები იქნება გორის თეატრშიც.

ცხინვალის თეატრი გასტროლებს 19 მაისს სოფელ არბოში, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმში დაასრულებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# უეფამ რუსეთი მწარედ დასაჯა




უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა რუსეთს სანქციები კიდევ ერთი წლით გაუგრძელა. გარდა ამისა, რუსების განაცხადი, რათა 2028 ან 2032 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემასპინძლა, უკანონოს ჩაითვალა და არც განიხილება.

რაც შეეხება სანქციებს:

რუსეთის ნაკრები ერთა ლიგის ბ დივიზიონის ჯგუფში ველარ ითამაშებს. ავტომატურად გავა ბოლო ადგილზე, რაც ნიშნავს, რომ თუ მომდევნო წელს დაუშვებენ, უკვე ც ლიგაში ითამაშებს:

რუსეთის ქალთა ნაკრები მოხსნილია ევრო 2022-ის ფინალური ეტაპიდან და პორტუგალია ჩაანაცვლებს;

რუსეთის ქალთა ნაკრები მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე;

იგივე ელის ახალგაზრდულ ნაკრებსაც, რომელსაც 2023 წლის ევროპირველობის შესარჩევი მატჩები უნდა ეთამაშა;

რუსული კლუბები არ ითამაშებენ უეფას 2022-23 წლების ევროთასებზე (ჩემპიონთა ლიგა, ევროპალიგა, კონფერენსლიგა, ქალთა ჩემპიონთა ლიგა, ახალგაზრდული ლიგა). რუსეთს ამ სეზონისთვის მიენიჭება უეფას ყველაზე ცუდი კოეფიციენტი ბოლო 5 სეზონის განმავლობაში (4.3 ქულა).

სანქციები დაედოთ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებსა და ფუტსალის გუნდებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## 2 მაისი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ბრენტფორდი ............. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 26 | 5 | 3 | 84-21 | 83 |
| 2.ლივერპული | 34 | 25 | 7 | 2 | 86-22 | 82 |
| 3.ჩელსი | 34 | 19 | 9 | 6 | 68-29 | 66 |
| 4.არსენალი | 34 | 20 | 3 | 11 | 54-41 | 63 |
| 5.ტოტენჰემი | 34 | 19 | 4 | 11 | 59-39 | 61 |
| 6.მანჩესტერი | 36 | 16 | 10 | 10 | 57-52 | 58 |
| 7.ვესტ ჰემი | 35 | 15 | 7 | 13 | 53-46 | 52 |
| 8.ვულვზი | 34 | 15 | 4 | 15 | 33-32 | 49 |
| 9.ბრაიტონი | 35 | 10 | 14 | 11 | 34-42 | 44 |
| 10.ნიუკასლი | 35 | 11 | 10 | 14 | 40-56 | 43 |
| 11.ლესტერი | 33 | 11 | 9 | 13 | 48-54 | 42 |
| 12.კრ.პალასი | 34 | 9 | 14 | 11 | 45-42 | 41 |
| 13.ასტონ ვილა | 33 | 12 | 4 | 17 | 44-46 | 40 |
| 14.ბრენტფორდი | 35 | 11 | 7 | 17 | 41-52 | 40 |
| 15.საუთჰემპტონი | 35 | 9 | 13 | 13 | 41-58 | 40 |
| 16.ბარნლი | 34 | 7 | 13 | 14 | 31-46 | 34 |
| 17.ლიდსი | 34 | 8 | 10 | 16 | 38-72 | 34 |
| 18.ევერტონი | 33 | 9 | 5 | 19 | 35-55 | 32 |
| 19.უოტფორდი | 34 | 6 | 4 | 24 | 32-69 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 34 | 5 | 6 | 23 | 22-71 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ფულემი-ლუტონი ............................ 7:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-აინტრახტი .............. 2:0
გლადბახი-ლაიფციგი ...................... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 24 | 3 | 5 | 93-33 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 20 | 3 | 9 | 80-50 | 63 |
| 3.ლევერკუზენი | 32 | 17 | 7 | 8 | 74-44 | 58 |
| 4.ფრაიბურგი | 32 | 15 | 10 | 7 | 56-40 | 55 |
| 5.ლაიფციგი | 32 | 16 | 6 | 10 | 67-36 | 54 |
| 6.კიოლნი | 32 | 14 | 10 | 8 | 51-46 | 52 |
| 7.უნიონი | 32 | 14 | 9 | 9 | 43-41 | 51 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 32 | 13 | 7 | 12 | 55-51 | 46 |
| 9.მაინცი | 32 | 12 | 6 | 14 | 46-42 | 42 |
| 10.გლადბახი | 32 | 11 | 8 | 13 | 48-59 | 41 |
| 11.აინტრახტი | 32 | 10 | 10 | 12 | 42-46 | 40 |
| 12.ბოხუმი | 32 | 11 | 6 | 15 | 34-48 | 39 |
| 13.ვოლფსბურგი | 32 | 11 | 5 | 16 | 40-52 | 38 |
| 14.აუგსბურგი | 32 | 9 | 8 | 15 | 37-51 | 35 |
| 15.ჰერტა | 32 | 9 | 6 | 17 | 35-67 | 33 |
| 16.შტუტგარტი | 32 | 6 | 11 | 15 | 37-56 | 29 |
| 17.არმინია | 32 | 5 | 12 | 15 | 25-50 | 27 |
| 18.ფიურტი | 32 | 3 | 9 | 20 | 26-77 | 18 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-ბეტისი ................................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 73-29 | 81 |
| 2.ბარსელონა | 34 | 19 | 9 | 6 | 63-34 | 66 |
| 3.სევილია | 34 | 17 | 13 | 4 | 50-28 | 64 |
| 4.ატლეტიკო | 34 | 18 | 7 | 9 | 59-41 | 61 |
| 5.ბეტისი | 34 | 17 | 7 | 10 | 56-38 | 58 |
| 6.სოსიედადი | 34 | 15 | 11 | 8 | 33-32 | 56 |
| 7.ვილიარეალი | 34 | 14 | 10 | 10 | 54-33 | 52 |
| 8.ბილბაო | 34 | 13 | 12 | 9 | 41-34 | 51 |
| 9.ოსასუნა | 34 | 12 | 9 | 13 | 35-45 | 45 |
| 10.ვალენსია | 34 | 10 | 13 | 11 | 45-49 | 43 |
| 11.რაიო | 34 | 11 | 8 | 15 | 35-39 | 41 |
| 12.სელტა | 34 | 10 | 10 | 14 | 37-38 | 40 |
| 13.ელჩე | 34 | 10 | 9 | 15 | 37-45 | 39 |
| 14.ესპანიოლი | 34 | 10 | 9 | 15 | 37-49 | 39 |
| 15.ხეტაფე | 34 | 8 | 12 | 14 | 31-37 | 36 |
| 16.კადისი | 34 | 6 | 14 | 14 | 30-47 | 32 |
| 17.მალიორკა | 34 | 8 | 8 | 18 | 30-56 | 32 |
| 18.გრანადა | 34 | 6 | 13 | 15 | 37-57 | 31 |
| 19.ალავესი | 34 | 7 | 7 | 20 | 28-56 | 28 |
| 20.ლევანტე | 34 | 5 | 11 | 18 | 42-66 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-უესკა ................................ 2:1
ვალიადოლიდი-სოსიედადი ბ .......... 1:2

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-სალერნიტანა ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 35 | 23 | 8 | 4 | 61-30 | 77 |
| 2.ინტერი | 35 | 22 | 9 | 4 | 74-29 | 75 |
| 3.ნაპოლი | 35 | 21 | 7 | 7 | 67-31 | 70 |
| 4.იუვენტუსი | 35 | 20 | 9 | 6 | 54-31 | 69 |
| 5.ლაციო | 35 | 17 | 8 | 10 | 70-53 | 59 |
| 6.რომა | 35 | 17 | 8 | 10 | 55-40 | 59 |
| 7.ატალანტა | 35 | 15 | 11 | 9 | 62-44 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 35 | 17 | 5 | 13 | 54-47 | 56 |
| 9.ვერონა | 35 | 14 | 10 | 11 | 61-52 | 52 |
| 12.ტორინო | 35 | 12 | 11 | 12 | 45-37 | 47 |
| 11.სასუოლო | 35 | 12 | 10 | 13 | 60-61 | 46 |
| 12.უდინეზე | 35 | 10 | 13 | 12 | 54-54 | 43 |
| 13.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 39-48 | 43 |
| 14.ემპოლი | 35 | 9 | 10 | 15 | 46-66 | 37 |
| 15.სამპდორია | 35 | 9 | 6 | 20 | 42-57 | 33 |
| 16.სპეცია | 35 | 9 | 6 | 20 | 37-63 | 33 |
| 17.კალიარი | 35 | 6 | 10 | 19 | 32-64 | 28 |
| 18.ჯენოა | 35 | 3 | 16 | 16 | 25-55 | 25 |
| 19.სალერნიტანა | 34 | 6 | 8 | 20 | 29-71 | 25 |
| 20.ვენეცია | 34 | 5 | 7 | 22 | 28-63 | 22 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

როდეზი-ტულუზა ............................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფერეირა-ტონდელა ......................... 1:1

**პოლონეთი. თასი**

**ფინალი**

ლეხი-ჩენსტოხოვა ........................... 1:3

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ოლბორგი .................. 4:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-კალმარი .................... 1:2
ნორჩიოპინგი-ვარნამო .................... 2:0
ჰამარბი-მილაბი .............................. 0:0

# გოგა ბითაძე: „ზაზა ფაჩულია ბევრ საკითხში დამეხმარა“

ინდიანა პეისერსის ქართველმა ცენტრმა გოგა ბითაძემ საკუთარ კარიერაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის განვითარებაში დიდი როლი ზაზა ფაჩულიამ ითამაშა და მისგან სასარგებლო რჩევებს იღებდა.

**გოგა ბითაძე:**

– სწორედ ფაჩულიამ გააგებინა მსოფლიოს, რომ კარგი კალათბურთელები საქართველოშიც არიან. მის თამაშებს ჯერ კიდევ ბავშვობაში ვუყურებდი. რომ არა ზაზა, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ნბა-ში მოხვედრა შემეძლო. ზაზამ ძალიან ბევრი გააკეთა და გოლდენ სტეიტის მაისურით 2-ჯერ ჩემპიონობაც მოიგო. დიდებული მოთამაშე იყო, ალბათ, საქართველოს ისტორიაში საუკეთესო კალათბურთელი. სწორედ ამ დროს ფიქრობ, კარგი, მან ეს გააკეთა და რატომ არ შეიძლება, იგივე მეც შევძლო?

22 წლის ცენტრმა 3 მარტს ვაშინგტონთან თამაშიდან 7-ვე სროლა გამოიყენა, 20 ქულა ჩააგდო და სათავე დაუდო წარმატებული სერიას, როდესაც ზედიზედ 10 მატჩში 10 და მეტი ქულა ჰქონდა. იმ პერიოდში მისი საშუალო მაჩვენებლები 15.8 ქულა, 6.5 მოხსნა, 2.3 პასი და 1.4 დაფარება იყო, ამასთან, თამაშიდან 60.4%-იანი სიზუსტით ესროდა, სამქულიანებში კი 43.3% ჰქონდა.

ბითაძეს ინდიანასთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და პეისერსს უფლება ექნება კიდევ ერთი ხანგრძლივი ხელშეკრულება შესთავაზოს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ქართველი კალათბურთელი 2022-23 წლების სეზონში როგორ გაირჯება. გოგა ამბობს, რომ იმ რჩევებს გამოიყენებს, რომელიც ფაჩულიასგან ჯერ კიდევ ბავშვობაში აქვს მიღებული:

– ზაზა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ნბა-ში მოხვედრა ძალიან რთული იყო, მაგრამ კიდევ უფრო რთულია იქ ადგილის შენარჩუნება. ეს სიტყვები მუდმივად თავში მიტრიალებდა, არადა, ზაზა მაშინ მითხრა, როდესაც მხოლოდ 12 თუ 13 წლის ვიყავი.



ბითაძემ ისიც გაიხსენა, რომ მას ფაჩულიას საკალათბურთო აკადემიაში ზაზასთან ერთად ვარჯიშის საშუალება რამდენჯერმე მიეცა. ისინი ერთად იყვნენ საქართველოს ნაკრებშიც მაშინ, როდესაც გუნდმა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა. ამჟამად, ფაჩულია გოლდენ სტეიტის კონსულტანტია და ახალგაზრდა თანამემამულესთან კონტაქტს ინარჩუნებს.

– ყოველთვის, როდესაც უორიორსთან გასვლითი მატჩი გვაქვს, საჭმელად ერთად გავდივართ და როგორც, უფროსი ძმა, ისე მექცევა. საქართველოში ხომ ნბა-ს ბევრი კალათბურთელი არ გვყოლია და ერთმანეთს ყველა ვიცნობთ, ერთი დიდი ოჯახივით ვართ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ქართველმა ცენტრმა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში მე-3 და, ჯერჯერობით, საუკეთესო სეზონი ჩაატარა. მისი შედეგიანობა საშუალოდ 7.0 ქულამდე გაიზარდა (5.1-დან) და საშუალოდ 2 წუთით მოიმატა სათამაშო დრომაც. გოგამ სეზონში 50 მატჩი ჩაატარა, აქედან 16 სასტარტოში (წინა ორ სეზონში სულ 5 სასტარტო მიითვალა) და კარიერის ახალი რეკორდიც დაამყარა – 23 ქულა.

შეგახსენებთ, რომ ინდიანამ ბითაძე 2019 წლის დრაფტზე მე-18 ნომრად აირჩია.

# ქუთაისი და ბათუმი სერიაში სოლიდურად დაწინაურდნენ



სუპერლიგის მეოთხედფინალური სერიის მატჩები ბათუმსა და ქუთაისში გაიმართა. პირველი მატჩების მსგავსად მასპინძელმა გუნდებმა ამჯერადაც იმარჯვეს და სერიაში 2:0 დაწინაურდნენ. შესაბამისად, ქუთაისსა და ბათუმს თითო მოგება აკლიათ, რათა ნახევარფინალში გავიდნენ.

ბათუმში გამართულ მატჩში ვერელებმა მეორედაც ვერაფერი დაუპირისპირეს აჭარულ გუნდს და 22 ქულის სხვაობით – 62:84 დამარცხდნენ. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი გუნდი ფლეი ოფში სტატისტის როლშია, რადგან დარჩენილი 2 ლეგიონერიდან ერთიც დაუშავდა. გუნდის ლიდერმა ქულებსა და მოხსნებში – ზაკ სელიასმა ფლეი ოფის წინ ტრავმა მიიღო და ვერას ვერ ეხმარება.

ბათუმელებმა სერიის მეორე მატჩი ისე მოიგეს, საკუთარი უპირატესობა ეჭვქვეშ წუთითაც არ დაუყენებიათ. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ აჭარულ გუნდს სერიის მომდევნო მატჩი თბილისში გასამართი ელის და ეცდება, ნახევარფინალის საგზური ნაადრევად გაინაღდოს.

აი, ქუთაისელებს კი სერიის მშრალად მოგება, ალბათ, ძალიან გაუჭირდებათ. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა მეორე მატჩში ბეწვის ხიდზე გაიარა.

პირველ შეხვედრაში უიმედოდ წაგებულმა რუსთაველებმა მეორედ მასპინძელ ქუთაისს დიდი ბრძოლა გაუმართეს. მთელი მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, ხოლო ძირითად დროს დასასრულს ქულების თანაბარი რაოდენობით შეხვდნენ – 83:83.

ოვერტაიმში კი ქუთაისელთა დომინაცია აშკარა იყო და საბოლოოდ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა იმერულმა კლუბმა 102:89 გაიმარჯვა.

ქუთაისელებს 28 ქულით, 7 მოხსნითა და 7 პასით ადრიან ბოუიმ ულიდერა. 22 ქულა და 9 მოხსნა გიორგი კორსანტიას ანგარიშზე დაგროვდა. 24 ქულა სტივენ ფლეტჯერმა მიითვალა. რუსთავში შედეგიანი სტატისტიკა ჰქონდა ლუვეინ პიპკინს, რომელმაც 27 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

# ლევან მაისაშვილი: „ფინალს ის გუნდი მოიგებს, რომელიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს“

პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზი შავი ლომი, რაგბი ევროპის სუპერ თასის ფინალური მატჩისთვის ემზადება. პირველი სატიტულო მატჩის წინ ლევან მაისაშვილის გაწვრთნილი გუნდი „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეკრებაზე შევიდა.



სუპერთასი წელს პირველად იმართება და ცხრა თვის წინ დაარსებულ შავ ლომს ისტორიაში პირველი ტიტულის მოპოვების შანსი აქვს, თუმცა იგივე ითქმის მეტოქეზე, პორტუგალიურ ფრენჩაიზ ლუზიტანუშზე, რომელიც ქვეყნის ნაკრების წევრებისა და კანდიდატებითაა დაკომპლექტებული.

თამაში ლისაბონში იმართება, რადგან ლუზიტანუშმა დასავლეთ კონფერენციის ჯგუფში ექვსივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დებულების თანახმად, მასპინძლობის უფლება მოიპოვა. პორტუგალიურმა გუნდმა ნახევარფინალში თელავივ ჰითს უმასპინძლა და 42:26 სძლია, შავმა ლომმა კი ესპანურ იბერიანს 43:40 აჯობა.

მაისაშვილის განკარგულებაში 33 მორაგბეა. შავი ლომი პორტუგალიაში 5 მაისს მიემგზავრება, მეორე დღეს კაპიტნის ვარჯიშს გამართავს, ფინალური შეხვედრა კი, 7 მაისს, საქართველოს დროით 18:00 საათზე დაიწყება.

ლევან მაისაშვილი დარწმუნებულია, რომ შავ ლომს მეტოქის დაჯაბვნა ყველა კომპონენტში შეუძლია, თასს კი ის გუნდი შემართავს, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს.

„ფინალი თავისი არსით სპეციფიკურია და გამარჯვებას ის გუნდი მოიპოვებს, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს. დიდ დროს ვუთმობთ მეტოქის თამაშის ანალიზს და უფრო დიდ დროს ჩვენს თამაშს. ვიცით, რომ პორტუგალიელები ძლიერები არიან არეულ, სწრაფ თამაშში. ამიტომ მნიშვნელოვანია მოთმინება, დისციპლინა და ნაკლები შეცდომის დაშვება. შავ ლომს პირველი ტიტულის მოგების შანსი აქვს და ამისათვის სრული სერიოზულობით ვემზადებით. მეტოქის დაჯაბვნა ყველა კომპონენტში შეგვიძლია, როგორც ძალისმიერ, ასევე ტექნიკურ თუ ტაქტიკურ ასპექტში. მთავარია ჩვენი გეგმა ზუსტად შევასრულოთ. განვლილი თამაშების შედეგები აჩვენებს, რომ ლუზიტანუში კარგი გუნდია, მან ორჯერ დაამარცხა იბერიანსი და ფინალსაც საკუთარ მოედანზე მართავს. მეტოქეს იგივე პრინციპით არის დაკომპლექტებული, როგორითაც შავი ლომი, მრავლად ჰყავს პორტუგალიის ნაკრების მორაგბეები, მაგრამ ამ გამოწვევისთვის მზად ვართ“, – ამბობს მაისაშვილი.

შავი ლომის შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, ნიკა ხატიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, თენგიზ ზამთარაძე; გიორგი პერტაია, ნიკა პატარაია, ნიკა აბულაძე, მიხეილ წიკლაური; ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი; გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, თორნიკე აქუბარდია;

უკანა ხაზი: თენგიზ პერანიძე, გიორგი ბეგაძე; გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, გურამ ქანდაურაშვილი; აკაკი ტაბუცაძე, სანდრო სვანიძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი, მირიან მოდებაძე, ლაშა ხმალაძე.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი; 2. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 3. სამონასტრო კომპლექსი რაჭაში; 4. მძიმე, გარდამავალი პერიოდი; 5. გემის ავარიის, ზარალის შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 9. დეტექტიური ჟანრის ბრიტანელი მწერალი ქალი; 12. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 14. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 15. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. ცხენებზე შებმული ტრამვაი ძველ თბილისში; 18. აზროვნების უნარი, გონება.

**თარაზულად:** 6. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 7. მაღალი კლასის იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 8. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 10. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 11. შუშხუნა ღვინოების მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. რთული, სადავო საკითხის შემფასებელი, სწორი დასკვნის დამდგენი სპეციალისტი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 20. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მესა; 2. ომი; 3. ვილსდორფი; 4. მნათე; 5. ცინიზმი; 8. ნანა; 9. დელიქტი; 10. ტარიბანა; 12. ძელქვა; 13. ბეილი; 15. წუნდა.

**თარაზულად:** 1. მაესტრო; 6. დიპტანკი; 7. სენტო; 10. ტესტი; 11. ონისე; 13. ბზიფი; 14. ანწლი; 16. ქუჯი; 17. იაგუნდი; 18. ქაჯაია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. რაფსოდი; 14. პანედა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. ეშხი.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. ჰაბანერა; 8. იგუასუ; 10. პედრი; 11. კასკადიორი; 13. აპელაცია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. ფალსტაფი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 3.0331 |
| ევრო | 3.1869 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.7950 |
| 100 რუსული რუბლი | 4.3595 |

## ამინდის პროგნოზი 4 მაისისათვის




## ბუსკეტსი ზაფხულში ბარსელონას არ დატოვებს



სერხიო ბუსკესტსი მინიმუმ კიდევ ერთი სეზონის განმავლობაში ბარსელონის ფეხბურთელი იქნება და მან ამის შესახებ თვითონ გააკეთა განცხადება.

აქამდე ხშირად ვრცელდებოდა ჭორები, რომ ზაფხულში სერხიო ბარსელონას დატოვებდა, მაგრამ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა. ხავიმ არაერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ მას მომავალში ბუსკეტსის იმედი აქვს.

## ანჩელოტი:„სიტისთან იდეალურად უნდა ვითამაშოთ“



კარლო ანჩელოტიმ მანჩესტერ სიტისთან შეხვედრაზე ისაუბრა, თქვა, რომ მისი გუნდი ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადება და, სავარაუდოდ, ისინი რაიმე ახალს მოიფიქრებენ, რომ მეტოქე გააკვირვონ:

– ვიცით, რომ მძიმე მატჩი გველის და სიტი ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ კონცენტრირება ჩვენს თავზე გავაკეთოთ და, თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ გამარჯვების შანსი გვექნება.

## არნოლდი: „ლივერპულში ბედნიერი ვარ“



ტრენტ ალექსანდერ არნოლდმა ლივერპულზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამ გუნდში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

გარდა ამისა, არნოლდის თქმით, მას იურგენ კლოპთან არავითარი კონფლიქტი არა აქვს და მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება:

– ლივერპულში დიდი ხნის განმავლობაში მინდა ყოფნა და ამ გუნდთან ერთად მომავალში ბევრ წარმატებას მივაღწევ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– გუშინ ჩემს ქალიშვილთან ვიყავი სტუმრად. როგორი კარგი სიძე მყავს, ყოჩაღი, ნაგავი გაიტანა, პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში გაიქცა!

– ყოჩაღ და დღეს სად იყავი?

– დღეს ჩემს ბიჭთან ვიყავი სტუმრად... ნეტავი არ მივსულიყავი!..

– რატომ?

– ჩემი რძალი ნამდვილი ალქაჯია! ჩემს შვილს წინ და უკან დაარბენინებს, ნაგვის გატანას ავალებს, ხან მაღაზიაში პროდუქტებზე აგზავნის...

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბში გავერთიანდი.

– მერე?

– მესამე დღეა, ვსვამ და არც კი ვიცი, ვისთან ერთად.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ცოლს რატომ არ ირთავ?

– იმიტომ, რომ სულ შენს ცოლზე ვფიქრობ...

– ჩემს ცოლზე?!

– ჰო, მეშინია, მეც მასეთი არ შემხვდეს!..

●●●

მამაკაცი ოფიციანტს ეკითხება:

– თეთრ ღვინოსთან მისაყოლებლად რას მირჩევდით?

– წითელ ღვინოს.

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– ძვირფასო, როდესაც დავქორწინდებით, ყველა შენ შეშფოთებასა და საზრუნავს შენთან ერთად გავიზიარებ...

– კი მაგრამ, საყვარელო, არც არაფერი მაქვს შემაშფოთებელი და არც საზრუნავი!

– ხომ გეუბნები, როდესაც დავქორწინდებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## აჩიკო მეფარიძეს ძალადობაში ადანაშაულებენ



მომღერალ აჩიკო მეფარიძეს ძალადობაში ადანაშაულებენ.

მოქალაქე ლელა ჯუღელი აცხადებს, რომ მომღერალმა მის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

კონფლიქტის მიზეზი საავტომობილო მოძრაობა გახდა.

ლელა ჯუღელი ამტკიცებს, რომ ამ ფაქტით გაღიზიანებულმა აჩიკო მეფარიძემ მას ჯერ შეაგინა, შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდა.

## თანამედროვე ქართული როკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვალერი კოჩაროვი გარდაიცვალა

როკმუსიკოსი და თანამედროვე ქართული როკის ერთ-ერთი ფუძემდებელი... ვალერი კოჩაროვი გარდაიცვალა.



სამწუხარო ინფორმაცია ზაზა შენგელიამ გაავრცელა:

– ვალერი კოჩაროვი – ბაჩი ქიტიაშვილთან, სოსო კამალოვთან, ვოვა მოგელაძესთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად, თანამედროვე ქართული როკის ერთ-ერთი ფუძემდებელი... აღარ გვყავს.

სწორედ ეს ადამიანები დგამდნენ პირველ ნაბიჯებს „გაუკვალავ თოვლში“, როცა საბჭოთა ცენზურის გამო უზარმაზარი ბრძოლა უწევდათ თავიანთი მუსიკის ანდერგრაუნდიდან გამოსატანად. ვალერისა და მისი „ბლიცის“ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში მათ უდიდესი მუშაობა გასწიეს „ბითლზების“ მუსიკის პოპულარიზაციისათვის საქართველოში და მუსიკის მოყვარულებს ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფისადმი მიძღვნილი ფანტასტიკური კონცერტების სერია აჩუქეს. ამის შემდეგ მათ დიდი წარმატება ჰქონდათ ლივერპულში „ბიტლომანიის“ ყოველწლიურ მსოფლიო მუსიკალურ ფესტივალზე, სადაც საპატიო ჯილდო დაიმსახურეს.

ბედნიერი ვარ, რომ 1982 წელს ვალერი კოჩაროვი და მისი ბენდი ჩემ მიერ ორგანიზებულ პირველ სტუდენტურ როკფესტივალზე გამოვიდნენ დადა დადიანთან, ირაკლი ჩარკვიანთან, ქიშო გლუნჩაძესთან, ზაზა ხუციშვილთან, რომა რცხილაძესთან, დათო ლომიძესთან და სხვა მუსიკოსებთან ერთად.

მადლობა შენი მუსიკისთვის. მშვიდობით, მეგობარო.

## მაესტრო რევაზ ტაკიძე 80 წლისაა



დირიჟორი რევაზ ტაკიძე 80 წლის გახდა. საიუბილეო თარიღი მაესტრომ მშობლიურ თეატრში კონცერტით აღნიშნა.

იუბილარი ხელოვანი ნახევარი საუკუნეა, თავის საყვარელ თეატრს დიდი სიყვარულით ემსახურება. რევაზ ტაკიძემ მთელი ცხოვრება ქართულ კულტურას მიუძღვნა და თავისი განუმეორებელი საქმიანობით ათასობით მსმენელი მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურა.

მაესტროს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ვიქტორ დოლიძის უკვდავი სპექტაკლი „ქეთო და კოტე“, რომელსაც იუბილარმა ხელოვანმა უდირიჟორა.

დარბაზში მყოფმა მსმენელმა სპექტაკლში მონაწილე საოპერო ხელოვანებთან ერთად იუბილარი დირიჟორი ხანგრძლივი ოვაციებითა და მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა.

– მაესტრო რევაზ ტაკიძე დღეს 80 წლის გახდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მან ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“ უდირიჟორა. ბატონო რეზო, გილოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს და მადლობას გიხდით იმ დიდი მხარდაჭერისთვის, რომელსაც ვგრძნობთ საბალეტო დასის თითოეულ ახალ პროექტში თქვენი მონაწილეობის დროს!

ნინო ანანიაშვილი და საბალეტო დასი გილოცავთ 80 წლის იუბილეს, გისურვებთ მხნეობასა და კიდევ არაერთ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში! – ნათქვამია საბალეტო დასის მიერ გავრცელებულ მილოცვაში.

– თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი გულითადად ულოცავს ყველასათვის უძვირფასეს პიროვნებას, შესანიშნავ დირიჟორს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ბატონ რევაზ ტაკიძეს 80 წლის იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. განუზომელია ის ღვაწლი, რომელიც ბატონ რეზოს აკავშირებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან – 50 წელი. ბატონ რეზოსთან გატარებული თითოეული წუთი სცენაზე თუ სცენის მიღმა არის უდიდესი ბედნიერება ყველა თანამშრომლისთვის. მადლობა იმ დაუღალავი და თავდაუზოგავი შრომისთვის, იმ სიყვარულისთვის, რომელსაც ასე უშურველად უწილადებთ ჩვენს თეატრსა და ქართულ მუსიკალურ კულტურას, – წერია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მაესტროსადმი მიძღვნილ საიუბილეო მილოცვაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## რეალური შოუ „პრაიმ ჰაუსი“ დაიწყო




ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე რეალური შოუ „პრაიმ ჰაუსი“ დაიწყო. შოუს მონაწილეები საზოგადოებას გვანცა დარასელიამ, მარიამ სანოგომ და კესარიამ წარუდგინეს.

რეალურ შოუში სხვადასხვა პროფესიის კონკურსანტები არიან შეკრებილი – მოდელები, მოცეკვავეები, ტელეწამყვანები, პოეტები...

„პრაიმ ჰაუსის“ პირველი რეალური შოუსთვის მისმა პროდიუსერებმა 14 კონკურსანტი შეარჩიეს.

პროექტში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ კესო ბერუაშვილი, როიალ გოდვინი, ტატო კახიძე, გიორგი ნაზღაიძე, თეონა წიწაკიშვილი, ტატო გვარამაძე, ანი ყიფშიძე, პაატა ჭონიაშვილი, ლაშა მაზანაშვილი, სალომე კაპანაძე, ავთანდილ ჯაფარიძე, ქეთი ჩერქეზია, თეონა კოჭლამაზაშვილი და ლიზა ქონიაძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 4 მაისისათვის

**ვერძი** – ახალი საქმის დაწყება გაგიჭირდებათ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით და პრიორიტეტები გამოყავით. **კურო** – სურვილი გაქვთ, რაღაც შეცვალოთ, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მცირეოდენი ყურადღება დაუთმეთ ნათესავებსა და ახლობლებსაც. **ტყუპები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ დაწვრილმანდებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **კირჩხიბი** – ცრუ განგაშს არ აჰყვეთ. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე და სიკეთე დღის დევიზია. **ლომი** – წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. მეგობრის რჩევა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – ახალი საქმე თქვენგან ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ უმჯობესია, თუ ჯერ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. **სასწორი** – ცოტა დაბნეული ხართ. გაარკვიეთ კონფლიქტის მიზეზები და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. წარმატების მიღწევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, მაგრამ მათ გადალახავთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა თქვენი პირდაპირობის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. იყავით დიპლომატიური. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **მერწყული** – იღბალი თქვენ მხარესაა. გადაწყვეტილების მიღებისას სწორ გზას ადგახართ. **თევზები** – მოტყუების ალბათობა დიდია. ზედმეტი მიმნდობლობა და წინდაუხედაობა დაგაზარალებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია, მომენტი; 2. სახოტბო ლექსი; 3. აშშ-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი ქალი; 4. დასაკეცი ჯიბის დანა; 5. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. თავადის ტიტული ინდოეთში; 9. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 10. იტალიელი კომპოზიტორი, ოპერა „დონ-კარლოსის“ მუსიკის ავტორი; 12. ქვეყნისთვის სასიკეთო საქმისთვის გაწეული შრომა; 13. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 15. გერმანელი მწერალი.

**თარაზულად:** 1. ბეთჰოვენის ოპერა; 6. საქართველოში გავრცელებული მოწითალო ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ტალღებისგან დამცავი ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 11. უძრავი ქონებს დროებითი დაქირავება; 13. დავით აღმაშენებლის ქალიშვილი, ბიზანტიის დედოფალი; 14. მელაზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 16. რბილი ტყავის დაბალყელიანი ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 17. საქართველოში გავრცელებული, წითელყურძნოვანი ამერიკული ვაზის ჯიში; 18. ფრანგული პური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

